04/09/2026

MES 3 26 0001148060

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი 20/08/2026
სხდომის დაწყების დრო: 12:00 საათი
დასრულების დრო: 13:05 საათი
საბჭოს თავმჯდომარე: სერგო ჭელიძე (II საკითი)
სხდომის თავმჯდომარე: ვასილ გონაშვილი (I საკითხი)
სხდომის მდივანი: რიმა ბერიშვილი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის, გამოყენებით 2026 წლის 20 აგვისტოს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წ ევრები:

1. **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
2. **ვასილ გონაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
3. **ივანე აბაშიძე –** სსიპ -საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
4. **ბაქარ ბერეკაშვილი** - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, პროფესორი;
5. **რიმა ბერიაშვილი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, ამავე უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
6. **მარიამ ბოჭორიშვილი** - ა(ა)იპ - ტად ვიკის დირექტორი, სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და დიზაინის სკოლის ხელმძღვანელი;
7. **თამარ გამსახურდია** - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი;

8. **ციური დურული -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
9. **ნინო მინდიაშვილი -** შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
10. **ნარგიზ ფალავანდიშვილი** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
11. **ზურაბ ქავთარია** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე;
12. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ - ფონდი საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **ქეთევან პავლიაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
2. **სოფიკო გრიგოლაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტი - სეუ

1. გოდერძი ბუჩაშვილი - ვიცე - რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით;
2. გიორგი ღავთაძე - ვიცე - რექტორი აკადემიური მიმართულებით;
3. ნუნუ მიცკევიჩი - ვიცე - რექტორი სამეცნიერო - კვლევითი მიმართლებით;
4. მაია ადვაძე - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;
5. ნონა ზუმბაძე - ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი "ბათუმი"

1. ირინე იმერლიშვილი - რექტორი;
2. თეა მიქელაძე - ვიცე - რექტორი;
3. გიორგი ცხვედიანი - ვიცე - რექტორი;
4. ანი ქავთარაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. ნატალია დოროფეევა - მედიცინის პროგრამის ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

ია მოსაშვილი (თავჯდომარე) - I საკითხი
ირინა ფხაკაძე (წევრი) - I საკითხი
ციური პაპუნაშვილი (წევრი) - I, II საკითხები
ეკა კაველიძე (წევრი) - I საკითხი
გაგა გვენეტაძე (წევრი) - I საკითხი
დავით სიხარულიძე (თავჯდომარე) - II საკითხი
თამარ გოდერიძე (წევრი) - II საკითხი
ნინო ალავიძე (წევრი) - II საკითხი

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 12:00 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს I საკითხის განხილვას უხელმძღვანელა ვასილ გონაშვილმა, ხოლო II საკითხთან მიმართებით სერგო ჭელიძემ. სხდომის მდივნის მოვალეობა ორივე საკითხთან მიმართებით შეასრულა რიმა ბერიაშვილმა. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების, მათ შორის საბჭოს მოწვეული წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ - ს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი "ბათუმის" სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

• არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ - ს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი "ბათუმის" სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ (ებ)ის თვითაცილება:

- **კი**

თვითაცილება განაცხადეს სერგო ჭელიძემ, ციური დურულმა და ნარგიზ ფალავანდიშვილმა.

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74 - ე მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სხდომას უხელმძღვანელა ვასილ გონაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ითხოვს სტუდენტთა რაოდენობის გაზრდას 11 100 - დან 16 400 - მდე. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილებები განახორციელა, რომელიც შეეხო როგორც მართვის, ისე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პროგრამების გაციფრულება, ადამიანური რესურსის ზრდა, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებები.
პირველი სტანდარტის ფარგლებში შეფასდა სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის საკითხი. დაწესებულებამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მკაფიო დასაბუთება წარმოადგინა, რითაც კიდევ უფრო დააზუსტა მის მიერ შემუშავებული მიდგომები და დაგეგმილი პროცესები. საბოლოოდ, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ დაწესებულების რესურსები სრულად შეესაბამება სტუდენტთა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას.
დადებითად შეფასდა მეორე სტანდარტიც. უნივერსიტეტში დანერგილია ელექტრონული სწავლების სისტემები, ხოლო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს სხვადასხვა სახის კვლევასა და გამოკითხვას. აღნიშნული სტანდარტის ფარგლებში გაიცა ერთი რჩევა, რომელიც აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხს ეხება.
მესამე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის ფარგლებში სტუდენტთა კონტინგენტის 9 700 - მდე გაზრდაა დაგეგმილი. ექსპერტებს ჰქონდათ გარკვეული კითხვები სტუდენტთა მომსახურებისთვის საჭირო ადამიანური, სიმულაციური და კლინიკური რესურსების საკმარისობასა და აღნიშნული საჭიროებების დასაბუთებასთან დაკავშირებით. დაწესებულებამ წარმოადგინა დეტალიზებული მოდელი, რომელშიც გათვალისწინებულია საბაზისო, პრეკლინიკური და კლინიკური პროფესიული ჯგუფების შესაბამისი რაოდენობრივი მაჩვენებლები. ასევე წარმოდგენილი იყო პერსონალის სამუშაო დატვირთვის მოდელი, რომელშიც განსაზღვრულია საჭირო პერსონალის რაოდენობა და

სიმულაციური ლაბორატორიების გამტარუნარიანობა. წარმოდგენილი მოდელის თანახმად, პროგრამის ფარგლებში 9 700 სტუდენტის მიღება შესაძლებელია. ამასთანავე, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლები ადასტურებს შესაბამისი ადამიანური რესურსის საკმარისობას. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ადამიანური და სიმულაციური რესურსები საკმარისია აღნიშნული რაოდენობის სტუდენტთა მისაღებად. მნიშვნელოვანია აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით გაცემული რჩევაც, რომლის თანახმად, შესაძლოა, საჭირო გახდეს 25 სტუდენტიანი ჯგუფების ნაცვლად 15 სტუდენტიანი ჯგუფების ჩამოყალიბება. მეოთხე სტანდარტის ფარგლებში დადგინდა, რომ პერსონალის რაოდენობა საკმარისია. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი ცხრილები, რომლებშიც ნათლად არის ასახული პერსონალის დაბალანსებული განაწილება. სტუდენტთა მხარდაჭერის მიმართულებით ყველა საკითხი შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან, შესაბამისად, აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ გაცემულა. კვლევითი საქმიანობის მიმართულებით დაწესებულება მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის შეფასების სისტემა, ასევე დანერგილია ინდივიდუალური თვითშეფასებისა და ფაკულტეტის დონეზე მონაცემთა ანალიზის პრაქტიკა. აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებით მნიშვნელოვანი იყო დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში წარმოდგენილი განმარტებები და დამატებითი მასალები. რაც შეეხება მეშვიდე სტანდარტს, ექსპერტებმა შეამოწმეს დაწესებულების ინფრასტრუქტურა. ვიზიტის პერიოდში სპორტულ, ფიტნესისა და საცურაო სივრცეებში სარემონტო სამუშაოები ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის შემდეგ, თავდაპირველად გაცემული რეკომენდაცია რჩევად განისაზღვრა, ვინაიდან აღნიშნული სივრცეები უშუალოდ სწავლების პროცესში არ იყო ჩართული.
საბოლოოდ, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ დაწესებულება ყველა სტანდარტის მიხედვით აკმაყოფილებს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებულ ავტორიზაციის მოთხოვნებს.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ირინა ფხაკაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ მაღალ დონეზე შეასრულა ყველა ის მნიშვნელოვანი მოთხოვნა, რომელიც სტუდენტთა მოთხოვნილი კონტინგენტის დასაკმაყოფილებლად იყო საჭირო. მისივე განმარტებით, გაცემული რჩევები ორიენტირებულია პროგრამის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფაზე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იმუშავებს გაცემული რჩევების შესრულების მიმართულებით და გაითვალისწინებს მათ.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მზადყოფნას გამოთქვამს გაცემული რჩევების გასათვალისწინებლად. სტუდენტთა კონტინგენტის ზრდასთან ერთად დაინერგება და განვითარდება ის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. ამასთანავე, დაწესებულება აქტიურად მუშაობს ტექნოლოგიური განვითარების მიმართულებით და მაქსიმალურად ცდილობს თანამედროვე სასწავლო პროცესისთვის საჭირო ტექნოლოგიების დანერგვას. რაც შეეხება სივრცეებსა და მატერიალურ - ტექნიკურ ბაზას, აღნიშნული მიმართულება მუდმივად ვითარდება და უნივერსიტეტში არსებული სივრცეები მაღალი ხარისხის სტანდარტების შესაბამისად არის მოწყობილი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, რიმა ბერიაშვილმა აღნიშნა, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული რჩევის გაცემა ამ ეტაპზე შესაძლოა ნაადრევი იყოს, ვინაიდან აღნიშნულ საკითხზე ევროპულ დონეზე მზადდება მნიშვნელოვანი დოკუმენტი. მისი განმარტებით, უნივერსიტეტებს შეუძლიათ განსაზღვრონ შესაბამისი პოლიტიკა, თუმცა საკითხის სრულად დარეგულირება შეუძლებელია. ამასთანავე, იგი დაინტერესდა კლინიკურ ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კლინიკურ ჯგუფში განსაზღვრულია 10 სტუდენტი, ხოლო გადაუდებელი მედიცინის მიმართულებით - 6 სტუდენტი.
საბჭოს წევრმა, თამარ გამსახურდიამ ექსპერტებს მიმართა კითხვით. იგი დაინტერესდა, კონკრეტულად რა დამატებითი მტკიცებულებების საფუძველზე გადაწყდა თვითშეფასების ანგარიშში დეკლარირებულ და ხელშეკრულებებით დადასტურებულ კლინიკურ გამტარუნარიანობას შორის არსებული განსხვავების საკითხი დასკვნის პროექტისა და მისი საბოლოო რედაქციის მომზადების პერიოდში. ამასთანავე, მან იკითხა, რას შეადგენს დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დადასტურებული ერთდროული და წლიური კლინიკური გამტარუნარიანობა მოთხოვნილ 9 700 სტუდენტთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ირინე ფხაკაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებმა დამატებით გამოითხოვეს დოკუმენტები, რომლებშიც დეტალურად იყო წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა იმ კლინიკის შესახებ, სადაც კლინიკური სწავლება და შესაბამისი პროცედურები ხორციელდება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კლინიკები შესაბამის მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ. გარდა ამისა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის თანმიმდევრული მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა მიმართულების მიხედვით სტუდენტთა რაოდენობის გამოთვლასა და არსებული რესურსების სწორად განაწილებას. ამასთანავე, თეორიული კურსების ფარგლებში ჯგუფებში 25 სტუდენტი იყო განსაზღვრული, რის გამოც გაიცა რჩევა 15 სტუდენტიანი ჯგუფების ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის შესახებ.

დაწყების დრო: 12:35
დასრულების დრო: 12:00

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ - ს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 16 400 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული

მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 89-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, 90-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 91-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ - ს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 16 400 - ით, მათ შორის "მედიცინის" ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე - 9 700 - ით.

მეორე საკითხი: შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი "ბათუმის" სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ (ებ)ის თვითაცილება:

- **არა**

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74 - ე მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს უხელმძღვანელა სერგო ჭელიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის ძირითადი მიზანი იყო უნივერსიტეტში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა და დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
შეფასება განხორციელდა ორი, რაოდენობრივი და თვისებრივი მიმართულებით. რაოდენობრივი შეფასება ჩატარდა დაწესებულების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. აღნიშნული მეთოდოლოგია მოიცავდა შემდეგ ძირითად პარამეტრებს: ადამიანური რესურსი, აუდიტორიები, საგამოცდო ცენტრი, ლაბორატორიული რესურსი და კლინიკების გამტარუნარიანობა.

შეფასების შედეგად ერთ-ერთ შემზღუდველ ფაქტორად აუდიტორიების რაოდენობა გამოიკვეთა. ასევე, გარკვეულ შეზღუდვას წარმოადგენდა საგამოცდო ცენტრის რესურსი, თუმცა დაწესებულებამ დამატებით მოაწყო ერთი საგამოცდო ცენტრი, რის შედეგადაც აღნიშნული პრობლემა აღმოიფხვრა.
ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური ბაზა და დაადგინეს, რომ უნივერსიტეტი დარგობრივი მიმართულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე აღჭურვილობა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
საბოლოო ანალიზმა აჩვენა, რომ არსებული რესურსებით უნივერსიტეტს შეუძლია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოემსახუროს დაახლოებით 1 175 –1 200 სტუდენტს, ხოლო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში — დამატებით 80 – 100 სტუდენტს. შესაბამისად, უნივერსიტეტს ჯამურად 1 280 – 1 300 სტუდენტის მომსახურების შესაძლებლობა აქვს.
სტუდენტთა კონტინგენტის 1 400-მდე გაზრდისთვის აუცილებელია დამატებითი აუდიტორიების მოწყობა. უნივერსიტეტის მენეჯმენტს ამ მიმართულებით უკვე შემუშავებული აქვს განვითარების გეგმა და სტუდენტთა კონტინგენტის 1 400-მდე გაზრდას მომდევნო სამი წლის განმავლობაში გეგმავს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაიცა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, რომელიც დამატებითი სალექციო აუდიტორიების მოწყობას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია სრულად გაითვალისწინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირინა იმერლიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად დაეთანხმა რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

შეკითვები არ ყოფილა.

დაწყების დრო: 13:00
დასრულების დრო: 13:03

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი "ბათუმის" სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1 300 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 89-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, 90-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 91-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი "ბათუმის" სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 1 300 - ით, მათ შორის "მედიცინის" ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე - 1 250 - ით.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 13:05 სთ - ზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
ბერიაშვილი რიმა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გონაშვილი ვასილ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო